

**ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის
მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა**

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1125 საათი.

აქედან:

სასწავლო კომპონენტისათვის 452 საათი; დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 135 საათი; ტესტირებისა და გამოცდისათვის – 40 საათი; პრაქტიკის კომპონენტისათვის – 498 საათი.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო განათლების ან/და ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის I და II საფეხურის კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ საქართველოს მცირედებეტიანი, უნიკალური ნავთობებისა და მათი გადამუშავებით მიღებული ნავთობპროდუქტების შემადგენლობა, მოიძიონ დასაქონლების სფეროები. მოამზადოს ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია გაზის მრიცხველიდან ანათვალის აღება, გაზის გაჟონვის დაფიქსირება, საავარიო სიტუაციის არსებობის შემთხვევაში კონკრეტული ქმედების შესრულება მის აღმოსაფხვრელად.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის ნავთობისა და გაზის მეურნეობის სფეროსათვის დამახასიათებელი, პრინციპები, პროცესები და ზოგადი კონცეფციები.</p> <p>აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. აქვს ნავთობისა და გაზის მეურნეობის სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა, კერძოდ: იცნობს ნავთობისა და გაზის ტერმინალების ძირითად ტიპებს, მის შემადგენელ ძირითად ობიექტებს, სარკინიგზო ესტაკადებს, სატუმბე სადგურებს.</p> <p>გააჩნია აპარატურასთან მუშაობის გამოცდილება და შეუძლია რეზერვუარების და სარკინიგზო ცისტერნების მომსახურება გამზომი ხელსაწყოების გამოყენებით.</p> <p>იცის ნავთობისა და გაზობრივი საწვავის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ერკვევა ნავთობისა და საწვავი გაზების კლასიფიკაციაში, იცის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სახეები. იცნობს ნავთობისა და გაზის მეურნეობის მოწყობის სისტემას.,</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები ინსტრუმენტები და მასალები.</p> <p>შეუძლია სწავლის შედეგად მიღებული ცოდნა გამოიყენოს სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების და პრობლემების გადასაჭრელად. იცის თანამშრომელთა უფლებები და უწყვეს ანგარიშს. შეუძლია უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება.</p> <p>შეუძლია მეურნეობის სტრუქტურირებულ გარემოში სამუშაოთა მწარმოებლის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, კერძოდ: დაეხმაროს შესაბამისი დანიშნულების პირებს, ოპერატორების მეთვალყურეობის ქვეშ აწარმოოს სარკინიგზო მარშრუტების მიღება, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაბინავება. შეუძლია უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება სისტენატიურად და განსაკუთრებით გაზსაშიში სამუშაოების ჩატარების დროს.</p>

დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია გაანალიზოს არსებული სიტუაცია, მიიღოს შესაბამისი ზომები სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით; აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატორის არყოფნის დროს შეუძლია მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები;</p> <p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი შეუძლია გაანალიზოს არსებული სიტუაცია, დაეყრდნოს დარგში არსებულ გამოცდილებას, მიღებულ ცოდნას და კვალიფიკაციას, ასევე კონსულტაცია გაიაროს გამოცდილ სპეციალისტებთან და უშუალო ხელმძღვანელთან, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს სამუშაოს შესრულების მობილიზაცია.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება თანამშრომლებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ნავთობისა და გაზის მეურნეობის საკითხებზე. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს გამოყენების დონეზე., უცხო ენაზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და გამოყენება;</p> <p>განუწყვეტელ კავშირში უნდა იყოს ოპერატორთან, სინჯის ამღებ ლაბორანტთან, რათა დროულად და ზუსტად იქნეს აღებული სინჯი ვაგონ ცისტერნიდან, რეზერვუარიდან და ტანკერიდან.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p> <p>შეუძლია საკუთარი სწავლის დაგეგმვა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.</p>
ღირებულებები	<p>გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.</p> <p>იცავს კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; იცავს უსაფრთხოების ნორმებს და ცდილობს ნორმის დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს შესაბამისად; შეუძლია პროფესიული პრობლემის წამოჭრისას სწორი გადაწყვეტილების მიღება. შეუძლია პროფესიული პრობლემის (გაჟონვის, ავარიის, აფეთქების, ხანძრის შემთხვევებში) გადაჭრისას გადაწყვიტოს იგი დადებითად და ოპერატიულად.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ნავთობისა და გაზის მეურნეობა(ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სახეები;ნავთობისა და გაზის გეოფიზიკური კვლევები;ნავთობისა და გაზის ქიმიის საფუძვლები)	X	X	X	X	X	X
ხაზვა	X	X				X
კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	X	X		
უცხო ენა	X		X	X		
პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

ს ა გ ა ნ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
ნავთობისა და გაზის მეურნეობა(ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სახეები;ნავთობისა და გაზის გეოფიზიკური კვლევები;ნავთობისა და გაზის ქიმიის საფუძვლები)	15	290	32			8	45	375
ხაზვა	2	36				8	6	50
კომპიუტერული ტექნოლოგიები	3	58				8	9	75
უცხო ენა	2	36				8	6	50
პრაქტიკა	23			199	299	8	69	575

სულ	45	420	32	199	299	40	135	1125
-----	----	-----	----	-----	-----	----	-----	------

IX. სასწავლო გეგმა:

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(B)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პორტფოლიო;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 ლაბორატორიული სამუშაო;
 სასწავლო პრაქტიკა;
 საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ნავთობისა და გაზის მეურნეობა(ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სახეები;ნავთობისა და გაზის გეოფიზიკური კვლევები;ნავთობისა და გაზის ქიმიის საფუძვლები)/ პრაქტიკა	დავით ჩხაიძე ეთერ ცივაძე ტატანა გენძეხაზე	დოქტორი ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგი ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგი
ხაზვა	ინაშარიძე ქეთევანი	დოქტორი
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ჩავლეშვილი გოჩა	დოქტორი
უცხო ენა	ბაბაიანი დიმიტრი	ინგლისური ენის სპეციალისტი

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში ქ. ბათუმში ნავთობტერმინალსა და ნავთობისა და გაზის მეურნეობის კომპანიებში (იხ. მემორანდუმი)

აღნიშნული დონის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა შეიძლება გაიაროს პრაქტიკა მსხვილ და წვრილ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებში, ნავთობბაზებში, ავტოგასამართ სადგურებში, სხვა საწარმოებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მყარი, თხევადი და აირადი ენერგომატარებლების, საცხი ზეთებისა და საპოხი მასალების წარმოებასა და რეგენერაციასთან.

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ნ/გ მეურნეობის ტექნიკოსის III საფეხურის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა ნ/გ მეურნეობის ტექნიკოსის IV საფეხურის პროგრამით.